

„დროების“ რედაქცია — სიმონსონის ქუჩაზე, ნა-ზარის სახლში, 1-ლი კლასიკური გიმნაზიის უკან.

ხელის მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, კილაძეების წიგნის მაღაზიაში, გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: ВЪ ТИФЛИСѢ, ВЪ РЕДАКЦІЮ „ДРОБНА“.

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით — 8 მ.; 9 თვით — 7 მ. 50 კ.; 8 თვით — 7 მ.; 7 თვით — 6 მ. 6 თვით — 5 მ.; 5 თვით — 4 მ. 50 კ.; 4 თვით — 4 მ.; 3 თვ. — 3 მ.; 2 თვ. — 2 მ.; 1 თ. — 1 მ.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე რუს კაპი ფან-ცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებშიც ზმდ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასახელებს და მოგზავნილ წერილებს დაუბეჭდვად წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

„Объявления изъ Россіи, Царства Польскаго и за-границы принимаются только въ цент. конторѣ объявл. А. Медцль., Москва, Петровка, № 6.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპეიკი.

მისს მაღალ-ყოვლად უსამდვ-დელო ექსარნოსის ჰავლეს მიერ იქმნება ძარბახმა ახლად აღმენე-ბულის თბილისის დიდუბის ღვთის მშობლის ეკლესიისა მომავალს კვირას, ამა სექტემბრის 23 დღე-სა. მლ. ბესარიონ ზედგინიძე. (3—3)

## ერთი კვირა უცხოეთში

თბილისი, სექტემბრის 21-ს.

წარსულს საკვირაო მიმოხილვაში ჩვენა ვსთქვით, ამბობენ ვითომც სამ-თა იმპერატორთა შეყრას უმთავრესს აზრად ჰქონდაო საერთო ღონისძიე-ბის მიღება ანარხისტების წინააღმდეგ, რომელთაც ღინამიტი და სხვა მფეთ-ქავი ნივთიერება ამ ბოლოს დროს განსაკუთრებულ იარაღად გაიხადეს. ამ მოსაზრებას ამტკიცებენ ამ კვირა-ში მომხდარი ამბები. როგორც მო-გვხსენებთ, შვეიცარია იყო ისეთი ქვეყანა, რომელიც სიამოვნებით აღ-ღევდა ბინას ყოველ-გვარ პოლიტი-კურ დამნაშავეებს, მაგრამ სამთა იმპე-რატორთა შეყრის შემდეგ, საკავშირო რჩევამ ამ რესპუბლიკისამ მიუწერა კანტონების მმართველობათ, რათა უკანასკნელნი ანარხისტებს ყურადღე-ბით თვალს ადევნებდნენ, და რომ ეს მიწერილობა უქმი არ იყო, დამტკიც-და ექვსის ავსტრიელის და გერმანიე-ლის ხელისაწინის განდევნით შვეიცა-რიიდან ანარხისტული მოქმედების გა-მო.

თუმცა გაზეთებში ამ ორს ამბავს ერთმანეთთან არ აკავშირებენ, მაგრამ ცხადია, რომ უამისოდ ყოვლად შე-უძლებელი იყო შვეიცარიის მთავო-ბისაგან უეცრად გადახვევა ძველად-განვე შემოდებული პოლიტიკისა. შექველია, ამ გარემოებასთანვე უნდა იყოს დაკავშირებული, რომ ავსტრიამ ბოლოს დროს მეტის-მეტე სიფიცხე გამოიჩინა ანარხისტების დევნასა და დასჯაში.

სხვაფერე მეროპაში სიჩუმეა. საფ-რანგეთში პალატები და თხოვნილნი არიან და გერმანია მხოლოდ ენლა ემზადება საპარლამენტო არჩევანის-თვის, რომელიც ოქტომბერში უნდა მოხდეს. გერმანიის მოხუცი იმპერა-ტორი, შემდეგ სკერნევიცის ვიზიტისა, დაიარება თავის საბძანებელში, უეჭვე-ლია, მმართველობის პარტიის გასამხ-ნეველად. თავ. ბისმარკი იმასაც კი არ დასდევს, რომ ოთხმოცწელიწადს გადაცილებულ იმპერატორს ამ მოგ-ზაურობით საჭირო მოსვენებას ართ-მებს, ოღონდ თავის აზრსა და წა-

დილს მიეწიოს და ეს წადილი ის არის, რომ მთავრობას მიუხედავად გერ-მანიის მუშა-ხალხი ცალკე თავის სო-ციალურ პროექტების დაპირებით, ცალკე თვით მცხოვანი იმპერატორის დანახვებით. ბისმარკის ცდილთვე აიხს-ნება ამბავი იმ მუშების დეჰუტაციისა, რომელმაც გერმანიის იმპერატორს დიუსელდორფში მიართვა სამადლო-ბელი ადრესი მუშა-ხალხის ყოფა-ცხოვრებაზე ზრუნვისათვის...

თუმცა მეროპის დიდ სახელმწი-ფოებში სიჩუმეა, მაგრამ ორს მცირე ქვეყანას დღესაც ამღვლეზარებს საარ-ჩევნო ციებ-ცხელება. ამას წინადა-ესთქვით, რომ კლერიკალების პარ-ტიის გადაჭარბებულმა მოქმედებამ ბელგიაში აქამდის ბნელაში მყოფი რესპუბლიკური პარტია საპოლიტიკო ასპარეზზედ გამოიხმო. მაგრამ ლი-ბერალურს პარტიას, რომელიც მხო-ლოდ იმასა ცდილობს, რომ კლერი-კალურმა სრულიად არ ამოხშოს ამ ქვეყანაში ძალუმაღ მოფენილი მეც-ნიერების ნათელი და ბევრს არას დასდევს იმას, თუ ბელგიის მეთაურად პრეზიდენტი იქნება, თუ კონსტიტუ-ციონალური მეფე, — ამ ლიბერალურ-მა პარტიამ გამოაცხადა, რომ იგი არ უერთსულებს და უერთგულებს რეს-პუბლიკურ პარტიას და მხოლოდ თა-ვისით იმოქმედებს. მსეთი ხერხი ლი-ბერალური პარტიისა აღვილად გასა-გებია. რესპუბლიკური პარტია ძლიე-რი არ არის ბელგიაში და შეუძლიან გვერდზე ამოდგომით ფსი დაუკარ-გოს ხალხის თვალში ლიბერალურ პარტიასაც, რომელსაც ენლა კანონი-ერი ბრძოლა განუზრახავს კლერიკა-ლებთან, ბრძოლა, სადაც ტყვია-წამ-ლის მაგიერობა საარჩევანო ბარათებ-მა უნდა გასწიონ.

ასე მშვიდობიანად არ გათავებულა არჩევანი მენგრიანზე მიკერებულ სლა-ვიანურ ქვეყანა — ხორვატიაში, რომ-ლის დედა-ქალაქი ზაგრები საომარ მდგომარეობაშია გამოუცხადებიათ. ხორვატელებმა, შარშანდელს აქეთია, რაც თვით-არსებობის ფხა უფრო გა-მოიჩინეს და ურჩობას უწვევენ ოდეს-მე დაჩაგრულს და ენლა თვით დამჩაგრელს მენგრიას. მკითხველს დავიწყებული არ ექნება, რომ ხორ-ვატებმა შარშან ძირს ჩამოჰყარეს ფი-ცრები მადიარულ ზედ-წარწერებით, რომელნიც სხვა-და-სხვა დაწესებუ-ლებებზე იყენენ ვაკრულნი. მას აქეთ არ დამცხრალა მუდმივ უკმაყო-ფილების გამოაშკარაება ხორვატელებ-სის მხრივ მენგრიისადმი და პირველ-

ნი იმდენსა ცდილან, რომ ახალის სვიმისათვის ბლომად ამოურჩევით დეჰუტატები, წინააღმდეგნი ენგრიე-ლებისა. ღვით სტარჩევიჩი, მოთავე ოპოზიციისა, სამს საარჩევანო მაზ-რას თავის წარმომადგენელად აღუ-ნიშნავს.

ჩინეთის ამბები იმგვარადვე გამო-ურკვეველნი არიან, როგორც უწინ იყვნენ. მრთ ტელეგრაფებს თუ დაუ-ჯერეთ, იმპერატორცა მშვიდობით მორიგებას აპირებს საფრანგეთთან, მაგრამ თუ მეორე ტელეგრაფებსაც მივაქციეთ ყურადღება, ძანტონის მიცე-ხელმწიფისათვის უბძანებიათ, გა-მოსცეს მანიჭესტი, ხალხის გამამხნე-ვებელი წარსულებთან საომრად. რაც მეროპას ჩინეთზედ თვალ-ყური აქვს მიჩერებული, ამგვარი ერთი ერთმანე-თის წინააღმდეგი ამბების მეტი არა ესმის-რა, ასე რომ ბევრმა ევროპიელ-მა პოლიტიკოსებმა იმედი გადწყვი-ტეს იმ აღამიანების ორ-პირული ენის გაგებისა, რომელთაც ჩინეთის დიპ-ლომატებს ეძახიან.

ბევრნიან, ვაი თუ ჩვენს მკითხვე-ლებს ტელეგრაფებში მოხსენებული ამბავიც მგვიბტის სახელმწიფო ვალის გადახდის შეჩერებისა ჩინურ დიპლო-მატიად არ მოსჩვენებოდათ. მაგრამ საკმაოა ორიოდ სიტყვა წინ წავეშაძე-როთ ამ ტელეგრაფებს და მკითხველი მიხვდება მათს ფარულს აზრსა. საქმე ის არის, რომ მგვიბტზედ ყველა მეროპის სახელმწიფოებს თვალთ უჭი-რავთ და ვერც ერთი კი რიგინად ვერ დაჰპატრონებია, გარდა ინგლი-სისა. ინგლისმა ამ ორს წელიწადს იმდენი სისხლი ჩაღვარა იქ და იმდე-ნი გირვანქა სტერლინგი დახარჯა, რომ წარმოიდგინა, ენლა მე უფლება მაქვს, მგვიბტეს მარტო განვაგებდეთ. საქმით მართლა ასეც არის, მაგრამ ინგლისმა მოინდომა უკანასკნელი კვალიც მოეპოო სხვა მეროპიელების გავლენისა ამ ქვეყანაზედ. მოგვხსენე-ბათ, რომ მგვიბტეს თავის გარყენილი ხელმწიფის წყალობით დიდ-ძალი «სა-ხელმწიფო» ვალი აწევს. ეს ვალი იმ კაპიტალისტებისაა, რომელნიც მერო-პიელ სახელმწიფოებში სცხოვრობენ და მგვიბტე ამ ვალს ნელ-ნელა ხდი-ლობს იმ წესით, რა წესიც დაუდგე-ნიათ ყველა დიდ სახელმწიფოებს ერ-თად. მნლა, ინგლისს მარტო თვისის უფლებით მოუწადინია ამ ვალის გა-დახდის შეჩერება იმ აზრით, რომ მგვიბტე მარტო თითონ დასაყუროს და მთელის მეროპის გარდაყვეტი-ლებას უმართებულად მოექცეს. ამ

გვარს თვით-მნებლობას ინგლისისას აუღელვებია ყველა სახელმწიფოები, განსაკუთრებით საფრანგეთი; ყვე-ლასვე ერთად დიდი სამღურავი გა-მოუცხადებიათ და სწადიანთ, ერთ ხმად მოსთხოვონ ინგლისს ახსნა ამ გვარის ძალადობისა.

**შინაური მარონია**  
— სახელმწიფო ქონებათა სამინის-ტროს შეუტანია ცალკე აზრი სახელ-მწიფო რჩევაში იმის შესახებ, რომ შემდგვისათვის შეუძლებელია შემცი-რდეს ხარჯი რომელიც ამიერ-მავკასია-ში სახელმწიფო ქონებათა სამმართვე-ლოს მიერ დანიშნულს ჩინოფიციები-სა (уполномоченные) და მათ თა-ნაშემწეთა ჯამაგირების გასასტუმრებ-ლად არის დანიშნულიო.

— მთავარ-მმართველი ძავესისას შუამდგომლობს მთავრობის წინაშე, რომ გაიყვანონ ტელეგრაფი შემდგეს ალაგებში: წენკორანიდამ ასტრამდე, იგდირიდან ამარატამდე, სარაყამში-დამ შარაყურტამდე და ჰულფიდან ორდუბათამდე.

— იმერეთიდან გვწერენ: შორაპნის მაზრაში, სოფ. შარცხნალს მოხდა საშინელი, შემადრწუნებელი ამბავი: ერთი აქაური ღარიბი გლეხი, რომელსაც ათის წლის ვაჟის მეტი არა ჰყავდა-რა, ამ თვის ექვსს წასულა სა-მუშაოდ მინდორში და ცოლიც თან წაუყვანია. მავი შინ სახლის მცველად დაუტოვებიათ. შებღური ბავშვი იქვე სახლთან კაკლის ხეზედ ასულა. ამ ხის ქვეშ ღობე იყო თურმე მოწწუ-ლი. ძარგა მალლა თითქმის წვერზედ მოსტეხია ტოტი უბედურს, წამოსუ-ლა იქიდან, დასცემია მარგილს, ჩამო-ჰკიდებია ქვედა ყბით. ღიდი ხნის წვა-ლების შემდეგ, ჩამოვარდნილა ძირს, მაგრამ ამ დროს მისევიან ღორები დაუწყევით სმა საწყლისაგან დაქცეუ-ლის სისხლისა. იქვე მეზობლის დედა-კაცი წასწრებოდა და გადაერჩინა ბავ-შვი ღორებისაგან. შებღურს ბავშვს გრძობა აღარ ჰქონდა, როდესაც აიყვანეს; სისხლიდგან სულ დატლი-ლიყო. თუმცა ბევრს ეცადენ მოებ-რუნებინათ, მაგრამ ამაო იყო ყოვე-ლივე: ორი საათის სიცოცხლის შემ-დეგ, დიდის ტანჯვით მოკვდა საცო-დავი.

— სიღნაღიდან გვატყობინებენ: ამას წინად „დროების“ შინაური ქრო-ნიკაში იყო, რომ ქ. რობიტოვისამ მიიღო ნებართვა მთავრობისაგან ქ. სიღნაღში საქალგბო სკოლის გახსნი-



ქართული

საო. ძლიერ ელირსა ამ დავიწყებულ ქალაქს საქალბო სკოლა, მასთანავე ისეთი სკოლა, რომელსაც მომხადე-ბული მასწავლებელი ეყოლება. სხვა-თა შორის, ქ. რომბოვისას სიღნა-ლის სამოქალაქო სასწავლებლის ზო-გიერთა მასწავლებელთ ალუთქვეს შემ-წეობა, ასე რომ შეძლებისდაგე-რად, მომავალი საქალბო სკოლა რიგიანად იწარმოებეს.

ამ ზაფხულს ახალ-გაზღვრებამ მისცა მტკირელი შემწეობა მომავალ ქალე-ბის სკოლას „ლიტერატურული სალა-მოს“ გამართვით. არ იქნება ური-გო, რომ ესლაც ეცდებოდნენ და ან წარმოადგენთ, ან რამე-სხვა საშუალებ-ბით შეეწოდნენ ამ ნორჩს სკოლას, რათა პირველადვე ფეხი მტკიცედ მო-იკიდოს და შიში აღარაფრისა არა ჰქონდეს.

== მოს. უწყებანი იწერებიან: სა-ხელმწიფო ქონებათა სამინისტროში აღგენენ პროექტს იმის შესახებ, რომ კანონიერ წესზე დააყენონ თევზის ქერა იმიერ-ძავეკასის მდინარეებში, ე. ი. მტკვარში, არაქსში, პრორვაში, ტალოვკაში და ქასიის ზღვაშიაც.

**ხმა სვანეთიდან.**

ძავეკასიაში სხვა ისეთი ხალხი არ მოიძებნება, რომელზედაც ასე დამ-შინებელი გავლენა ჰქონდეს ბუნების მოვლენათა, რიგორც აქვს სვანებ-ზე. ხალხი დარწმუნებულია, რომ ღმერთი ყოველად მოწყალე და სანი-ერია, და უკეთუ იგი უღელს ხალხს (ასე ფიქრობს ხალხი) ხანგრძლივს წედმას და გვალვას, რომელიც ნამუშევარს აზიანებენ, — ეს იმის ნიშანია, რომ ხალ-ხმა ღმერთს რაღაც აწყენინა, შესკო-და. ამასვე ფიქრობს ხალხი, როდესაც მის ყანებს ესტუმრება დამაუნდილებე-ლი თოვლი და დამამხნეველი სეტყვა. რითი დაიშახტა ხალხმა ღვთის წყარო-მარისხვა და რა საშუალებით, მსხვერპ-ლით შეიძლება ღვთის ამგვარი რის-ხვის თავიდან აცილება? ასეთს გონებ-რივსა და სულიერს პროცესს ეძლევა ხალხი, ასე ეკითხება თავს და აი რა გვარს პასუხს იძლევა ამ ორივე კით-ხევაზე.

საზოგადოდ სვანები მტკიცედ აღ-გიან მამა-პაპურ ჩვეულებასა, რომელ-შიაც დროს განმავლობაში სხვა და სხვა ცვლილება ხდება. მაგალითად: უხსოვარის დროიდან სვანები კვირა-ში უქმობენ სამს დღეს: პარასკევს, შაბათს და კვირაიკეს. ეს დღეები ბო-ლოს დროს ზოგიერთ პირთა წყალო-ბით სამუშაო დღეებად გადაქცენ. უწინდელს დროში მელოგინე ქალი 40 დღეზე ადრე არ გამოვიდოდა კარ-ში, დღეს ეს ჩვეულება ირღვევა ზოგიერთებისაგან. უწინ დედა-კაცები ეკლესიაში ვერ შედიოდნენ დღეს-კი დადიან, სხვა დროს თუ არა, გვარის წერის დროს მანც. ძველად სადა ტანი სამოსით კმაყოფილდებოდა ხალხი; დღეს, როგორც ქალები, ისე კაცები

სხვა და სხვა გვარად შეკრიბოს და შეღებოს ტანისამოსს იცვამენ. მრთი სიტყვით, სხვა „ზამანა“ სხვა ამონა\* დადგა, — ასე ამბობს ხალხი. თუ საზოგადოების რომელიმე წევრი ზე-მოდ მოყვანილ ჩვეულებებს არ ას-რულებს, იგი ამითი არისხებს ღმერთს, რომელიც საზოგადოებას სჯის (ავდ-რით, სეტყვით, სნეულებით და სხვა). ამისათვის ხალხის აზრით ხაჭირია დამნაშავეის დასჯა ჯარიმით (ჰიბარ) და საზოგადოების მხრით მსხვერპ-ლის შეწირვა განრისხებულ ზეცისად-მი, მაგალითებს ყოველ წლობით ხე-დავს კაცს, მე-კი ამ ზაფხულს შემ-თხვევებს მოვიყვან.

ამ წელს, აგვისტოს 19, უშუყლის საზოგადოებაში თოვლი მოვიდა სოფ-ლად და ნამუშევარი დაახიანა. დი-ლით ადრე სახლში მომესმა ბუკის ხმა. რასაკვირველია, მაშინვე მივხედი, რის ნიშანი იყო ბუკის დაკრა ესეთ ავღრიან დროს (რადგან ამ გვა-რების მოწამე ბევრჯელ ეყოფილვარ). მამასახლისს დაეუბნე, ვიკითხე — ვის აბრალებთ-მეთქი დღეს თოვლის მოს-ვლას. მან მაშინვე ჩამამითვალა ის პირები, ვის შეცოდებასაც ხალხი აწერდა უღროდ თოვლის მოსვლას. მამასახლისს ვუთხარი, რომ ცდილიყო, საზოგადოება დაეშალა, მაგრამ ჩვენს ლაპარაკში იგი უკვე თავ-მოყრილი იყო, ჩვეულებრივს საზოგადო ყრილო-ბის ადგილს ბუკით და დროშით ხელ-ში (დროშა ეკლესიაშია და ამგვარ შემთხვევებში გამოაქვსთ ხოლმე).

ხალხმა ერთი ყაყანი შექნა, ყვე-ლანი ერთმანეთს ეკითხებოდნენ: ვინ დაველუა, ვინ გავვირისხა ზეცა და ბოლოს კიდევ დასახელეს მიზეზ-ნი თოვლის მოსვლისა. აღმოჩნდა, რომ სამს მახახლეს შაბათობით ემუ-შაენათ, როდესაც ხალხს აკრძალული აქვს ამ დღეს მუშაობა და ორი მე-ლოგინე ქალი განსაზღვრულ დრომდე, ე. ი. 40 დღემდე, გამოსულიყო კარში. იგიალა ხალხმა და მიადგა იმ სახლს, სადაც ერთი მელოგინეთაგანი იყო პირველად ძროხას ართმედა, მაგრამ მელოგინეს ქმარმა საზოგადოებას შეა-ხვეწა ორი ცხვარი და ერთი ხო, ოღონდ ძროხას ნუ გამამართმევთო. საზოგადოებამ პატივდებაში მიიღო ეს ხვეწნა და დაუბრუნა ზემოდ ნათქვამ სამს საკლავში ძროხა. მრთი დიდი ცხვარი მეორე დამნაშავე მელოგინეს წაართვეს (ეს როგორღაც უფრო ნაკ-ლებად აღმოჩნდა დამნაშავე) და ორ-ორი მანეთის არაყი შაბათის გამტეხ მოსახლეთა. ხალხი მივიდა მღვთის მშობლის ეკლესიასთან, თან წაიყვანა საკლავები და წაიღო არაყი. საკლავები დღეთის-მშობელს შესწირეს, იქვე დაჰკ-

\* შესანიშნავია, რომ სვანურში საკეთარი სიტყვა არ არის დროს გამოხატველი. „ზამანა“ და „გონა“ ორივე დროს აღნი-შნავენ. პირველი სიტყვა არაბულია, მეორე, ჩემის აზრით, ბერძნული, ნახმარი მრავლო-ბითი რიცხვში „ს-რონოს“ მრავ. რიცხვი „ს-რონა“, სვანური „გონა“.

ლეს, შესამეს, არაყი დალიეს და საღამოს სახლში დაბრუნდნენ იმ იმე-დით, რომ გამოიღარებდა, მაგრამ ცა მანც საავღროდ ღრუბლებით იყო გადაფარებული. ღამე ისევ თოვლდა. მეორე დღეს, აგვისტოს 20-ს, სამი გოჯის სიმალღეე დაჰვარა თოვლმა მოუშკალი ყანები და სოფლები. და-უკრეს ისევ ბუკი. შეიყარა საზოგა-დოება, შექნეს ყაყანი იმაზე, თუ რის-თვის სჯის მათ განგება ასე მწარედ. სხვა მიზეზი რომ ვერაფერი მოახსენს, გადასწყვიტა ხალხმა ერთი ხარის ყიდვა და მისი მსხვერპლად შეწირვა ღვთის-მშობლისთვის. სთქვეს, გაათა-ვეს. ბამიღლეს კომილზე თვითო „ლეღლიაქი“ ქერი (ლეღლიაქი — პურის საწყარო — 1 1/2 ფუთ.), იყიდეს ერთი მსუქანი ხარი ამ ქერით და მო-იყენეს ეკლესიის კარებზე; ხალხმა დაიხოქა, შეახვეწა თავისი თავი და წინ ხარი უღდა შესაწირავად. შემდეგ დაჰკლეს ხარი იქვე. მჯახებიდან სადილის პურები დაიბარეს. ხარი აქ მოხარშეს და სადილად შესჰამეს. ნა-შუადღევს ცამ უკუჰყარა შავი ღრუბ-ლები და გამოიღმია. ხალხი სიხარუ-ლისაგან ფეხზე აღარ იდგა: სწორედ ამ მსხვერპლს თხოულობდა ღმერთი ჩვენგანთო.

(დასასრული ხვალ)

**„დროების“ კორექსორდენცია**

სოხუში, სექტემბრის 15. ამის წინად „დროებაში“ იყო დაბეჭდილი კორექსორდენცია სოხუშიდან, რო-მელშიაც კორექსორდენტი ამბობდა, რომ ჭილოქსერა სოხუში სრულე-ბით გაწყდაო. მართლაც აქამომდე ყველა დარწმუნებული იყო, რომ სო-ხუში განთავისუფლდა ამ სენისაგან. მაგრამ ჭილოქსერა კიდევ აღმოჩნდა ბ. მედენსკის სახლის უკან და აი-რო-გორ: *ქართული* იმ დღეს მიიღო.

პირველადვე, ჭილოქსერის აღმო-ჩენის უშალ; სოხუში დანიშნულ იქმნენ აგრონომები ბ. ხოჯავეი და ბევესკი. პირველ ორის წლის გან-მავლობაში სოხუშის ჭილოქსერის ბერი მათს ხელში იყო და ბევრიც იშრომეს, მაგრამ, სამწუხაროდ, უნა-ყოფოდ; მათი შრომა უნაყოფოდ დარჩა, იმიტომ, რომ, სადაც იმათ პლანტაჟებით\*) გამოუთხრიათ მიწა და საცა, მაშასადამე, ჭილოქსერა გაწყვეტილი უნდა იყოს, დღეს იმავე პლანტაჟებზედ, ან იმათ ახლო ვარ-შემო, ჭილოქსერის ახალ ბუდეებს პოულობენ. პლანტაჟებით ამოთხრას თავისი კანონი და წესი აქვს და, მგონია, რომ ეს წესები დავიწყებით ბ. ბევესკის და ხოჯავესა. აი, ჩვენის აზრით, მიზეზი იმ გარემოებისა, რომ ამოდენა ხანია სხხუკდენ, სთხრიდენ იქაურობას, ჭილოქსერა ვერსად აღ-

\* პლანტაჟებით თხრა მიწისა ის არის, რომ არც ერთი მცირე ადგილი გადაუთხ-რელი არ დარჩენს.

მოაჩინეს და დღეს კვლავ იმდენად და ბ. მედენსკის ბაღში.

ბილეთ აგრონომი მასილიევის ან-გარიში 1883 წლისა თავის პლანით, დააკვირდით ბევესკისა და ხოჯავეის მუშაობის პლანსაც, და აშკარად დაი-წახანეთ, რაში შემდარან ეს უკანასკ-ნელნი. ჭილოქსერა, როგორც ვსთქ-ვით, იპოვეს იმ ადგილას, სადაც პლან-ტაჟი არ არის ათ საყენზედაც — მა-შასადამე ეს ადგილი ცირკულიარის ძალით შემოზღუდული უნდა ყოფი-ლიყო, მიწის პატრონს კანონის ძა-ლით არ შეეძლო არც მოხენა და არც მოთესა ამ ადგილისა. მაგრამ, რად-გან ბ. მედენსკის მიწა იყო ეს ადგი-ლი და ბ. მედენსკი დიდი გვარი განლაგესთ, ამიტომ — ხათრი არ გაუ-ტენიათ, — როგორ არ დაეუთმოთ ერ-თი ათიოდე საყენიო და აი დღეს ხომ ეხედავთ ნაყოფს — კიდევ აღმოჩნდა ჭილოქსერა, როგორც ეტყობა, დიდი ხნის-ათითქმის 6 — 7 წლისა. აი რანაი-რად ჩაიარა ბ. ბევესკის და ხოჯავეის შრომა! მაგრამ იმდენი არც იმათ აქვსთ დანაშაული, რამდენიც ჩვენს ჭილოქსერის კომიტეტს; ჩამოვიდა თუ არა აგრონომი ბ. მასილიევი, ეს-პერტმა მისწერა ამ კომიტეტს, რომ ბ. მე — თვის, აღეკრძალათ შეზღუ-დული ალაგის შემუშავება, მაგ-რამ კომიტეტმაც ხათრი არ გაუტენა მთელი ოლქის მმართველს და ნება დართო მე — კის: რაც თქვენს სულ-სა და გულსა სურს, ის დასთესეთ და მოიყენეთო. ბ. მე — აც მოხნა და სიმინდი დასთესა იმ ადგილებში სადაც კაცის შესვლაც კი აკრძალუ-ლი უნდა ყოფილიყო; მაგრამ ბ. მა-სილიევის მეცადინეობით ამ წელს თურმე იქ სიმინდი დათესილი არ იყო და ჭილოქსერა იპოვეს კიდევ-მხლა ვკითხავ ბ. ბევესკის, ხოჯავეს და ჭილოქსერის კომიტეტს, რომლის კანონის ძალით მისცეს ნება ბ. მე-დენსკის მოეხნა საეჭვო ადგილები? ანაბილია, რომ ჭილოქსერა ყოველ-გან იწდება და იგი ამ შემთხვევაში არ დაინდობს გავლენიან გვამების ად-გილებს ისე, როგორც გლეხების მა-მუდღესაც არ მოეხმარება. და თუ ეს ასეა, რად მიეცა ისეთი უპირატესობა ბ. მედენსკის? ღღეს საქმე გავირვე-ბულია, ჭილოქსერა კიდევ არის ბ. მედენსკის ბაღში და ფულები კი არ არის, რომ ბოლო მოეღოს ამ ბრძო-ლას ჭილოქსერის წინააღმდეგ და კო-მიტეტიც, მგონი, აღარც კი კისრუ-ლობს ჭილოქსერის გაწყვეტას. მხლა ხაზინის ინტე-გებს იცვავენ და ამბო-ბენ, ჭილოქსერა ძალიან გამრავლდა და მასთან ბრძოლა ძნელიაო.

უწინ დროც იყო, ფულიც, მაგ-რამ... ბ. მე — ის და სხვებს ხათრს არ უტენდით და ეხლა, როცა საქმე გაძნელდა თქვენის მეოხებით, გან-ზედ ღვებით, მაგრამ მომავალი დრო შეუბრალებელია — იმას ვერც ერთი სულ-დგმული ვერ დაემალება — ის გონიერი მომავალი დრო განსაჯავს თქვენს მოქმედებას! ნუ გგონიათ, რომ თუ ჭილოქსერა გამრავლდა ჩვენში



და ბრძოლა შესწყდა ამდენი გალა-  
ტაცებული ოჯახების ცრემლი, გო-  
დება და წყველა თქვენ არ დაგატყ-  
დეთ თავსა. ახიც იქნება თქვენ-  
ზედ.

«თქვენსა ცოდვებს აკაცობს  
გელასად ვერ გაქცევა,  
სადა წავა, წინ დასვდება  
რისსა ღვთის და ერის წიქვა».

უცხოეთი.

**ბერმანი.** ამ ცოტას ხანში დაიწ-  
ყება ბერმანიში პარლამენტის წევრ-  
თა აღმორჩევა და ამისაგამო პარლა-  
მენტის წევრებში ეს გარემოება აღ-  
თურმე ამ ჟამად სალაპარაკოდ. ცენტრ-  
რის დასს გამოუცია კიდევ აღმორ-  
ჩევითი მანიჭესტი, რომელშიაც ღი-  
დის დაქვინებით არის თურმე ნაჩვენე-  
ბი იმის საჭიროება, რომ კათოლიკე  
ეკლესიას მიენიჭოს სრული თავისუფ-  
ლება და მოშორდეს თავიდან ის  
თვითმნიებლობა, რომელითაც მას და  
მის მოსამსახურეთ სახელმწიფო ეჭ-  
რობა. ძულტურული ბრძოლა—ამ-  
ბობს მანიჭესტი—ჯერ არამტოუ არ  
გათავებულა, არამედ ეხლანდელი გა-  
ნუსხდერელი მდგომარეობა ღიდს  
ენებას აძლევს „ბერმანიის ხალხის  
ცხოვრებასა“. საზოგადოდ ცენტრის  
დასი თხოვლობს თურმე ზოგიერთა  
ადგილების შეცვლას კონსტიტუცია-  
ში. იმის აზრით, ეხლა პირველს ად-  
გილს სახელმწიფო ცხოვრებაში თან-  
და-თან უფრო სამეურნო და ეკონო-  
მიური ინტერესები იქერნო და ამისაგა-  
მო აუცილებლად საჭირო ხდება კონ-  
სტიტუციის ზოგიერთა მუხლების შე-  
ცვლა. მსრედ-წოდებული „თავისუ-  
ფალ-მოაზრეთა“ დასის კანდიდატები  
კიდევ უპირატესობას ტამოჩინს ტა-  
რიჩების და განსაკუთრებით პურის  
ბაჟის საქმეს აძლევენ. ზოგიერთა ამ  
დასის მომხრეთ გამოუცხადებით მლ-  
ბერჭედლში, რომ ისინი ყოველს  
ღონის-ძიებას იხმარებენ პურის ბაჟის  
მოსასპობლად. სხვა მაზრებში კი „თა-  
ვისუფლად მოაზრენი“ ლაპარაკობდენ  
თურმე—ჩვენ წინააღმდეგნი არა ვართ  
პურის ბაჟისა და მის მომატებაზედ  
ხმასაც არ ამოვიღებთ, თუ დაგვიმტკი-  
ცებენ, რომ მომატება საჭიროა სა-  
სოფლო მეურნეობის სიკეთისათვი-  
საო.

**ბრიტანიის ინდოეთი.** ინდოეთი-  
დან იწერებინან გაზეთებში, რომ იქ  
მცხოვრებ ინგლისელებს ძრიელ გაზ-  
ხარებით ღორდი ფეჭერინის დანიშ-  
ენა ღორდი რიპონის მაგიერად. ამ  
საქმისთვის იქაური ინგლისელების გა-  
ზეთები ძრიელ თურმე აქებენ სენ-  
ჯემის კაბინეტს და, სხვათა შორის,  
ამბობენ, რომ ფეჭერინს მცირე სამ-  
სახური კი არ გაუწყია სამშობლოსა-  
თვის პეტერბურგში და სტამბოლ-  
ში; თუ მივიღებთ მხედველობაში იმას,  
რაც მან მოიმოქმედა ხსენებულს დე-  
დაქალაქებში, მაშინ ყველასათვის

ცხადი იქნება, რომ იგი უფრო ღირ-  
სია მეფის-მოადგილის წოდებისა, ვიდ-  
რე სხვა ვინმე იმ კანდიდატთაგანი,  
რომელთაც ამ თანამდებობაზედ ასა-  
ხელებდნო. ფიჭერინზე შესაფერი  
კაცი არ მოიპოება ინდოეთის მმარ-  
თველად ამისთანა კრიტიკულს დროს,  
როდესაც ერთის მხრით ადგილობრი-  
ვი მცხოვრებნი მტრულის თვალით  
უყურებენ იქაურს ინგლისელებს და  
მეორე მხრით გარედამაც რუსეთი  
უბირობს მათ შესევასაო. რაიცა შე-  
ენება ინდოელების ჟურნალ-გაზეთებს,  
ისინი ჩუმად არიან და კრინტსაც არა  
სძრავენ თურმე ახალი მმართველის  
დანიშენაზე. მხოლოდ ერთს გაზეთს  
გაუბუნებია და კრიტიკულად შეხებია  
ამ შემთხვევას, რისთვისაც ინგლისუ-  
რი გაზეთები ძრიელ ჰკიცხავენ და  
„გაცოფებულს ინგლისის წინააღმდეგს  
ორგანს“ უწოდებენ მას.

**მავიკატი.** ერთის გაზეთის მეფის  
კორესპონდენტი იწერება ნამდვილი  
წყაროებიდან, რომ ინგლისის მმარ-  
თებლობას გარდაწყვეტილი აქვს მე-  
ვიატზე თვისი პროტექტორატი (მფარ-  
ველობა) გამოაცხადოს; ეს საქმე  
მაშინ გადასწყვიტა ინგლისის კაბი-  
ნეტმა, როდესაც ღორდს ნორტბრუკს  
მევიატეში გზავნიდაო. მხლა ხსენე-  
ბული კაბინეტი ელის მხოლოდ  
ნორტბრუკის მოხსენებას და რამწამს  
მისგან რაიმე ამბავს მიიღებს, მაშინა-  
თვე შეასრულებს თვის პოლიტიკურს  
პლანებს მევიატის შესახებაო. საფუძე-  
ლი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ღორდი  
ნორტბრუკიც უთუოდ ურჩევს თვისს  
მმართველობას პროტექტორატს მი-  
მართოსო.

ამავე კორესპონდენტს შეუტყვია  
მენის აღმინისტრატორულს წრეებში, რომ  
სამს იმპერატორს სკერნევიცაში მე-  
ვიატის საქმეებზედაც ჰქონათ მოლა-  
პარაკება. მისი სიტყვეთ, მთელს მე-  
როპაში ინგლისის მოქმედებას ყვე-  
ლაზედ ღიდი წინააღმდეგობა საფრან-  
გეთის მხრივ მოეღის. მსმალეთიც,  
უქველია, ეწინააღმდეგება მისს პო-  
ლიტიკას მევიატის შესახებ; თუმცა  
მესტრიას აგრე რიგად ღიდი და თვალ-  
საჩინო ინტერესი არა აქვსარა ნილოს-  
ზე, მაგრამ მაინც არ შეიძლება ვი-  
ფიქროთ, რომ იმან ინგლისს მისცეს  
მხარი ან მევიატის, ან სხვა რომელი-  
მე საქმეში დანარჩენ სახელმწიფოთ  
წინააღმდეგაო. მაშასადამე, გეჭმისას  
და რუსეთს ეკუთვნის გადაწყვეტა,  
ვისთან უნდა იბრძოლოს ინგლისმა;  
მარტო საფრანგეთი ეყოლება მას მო-  
წინააღმდეგედ, თუ მთელი მეროპის  
შეერთებულს ძალას უნდა დაუდგეს  
წინაო. მს ბედ-შავი საქმე, უქველია,  
ახლა კი მალე უნდა გადაწყდეს. სა-  
ხელმწიფოთი მინამდის არავითარს სა-  
ქმეს არ დაიწყებენ, სანამდის არ შე-  
იტყობენ ღორდი ნორტბრუკის მი-  
სიის შედეგსა. მქვი არ არის იმაზედ,  
რომ საფრანგეთი მშვიდობიანად ვერ  
მოუტრეგდება ინგლისს, მაგრამ ის კი  
საუფიქრებელია, რომ ეს უკანასკნელი  
ეცადოს ბერმანიისთან; ანუ, უკედ

რომ ესთქვათ, ბისმარკთან მორიგება-  
სა, რადგანაც ინგლისის მმართველობა,  
ასე, თუ ისე შეეხებო ბისმარკის თავ-  
მოყვარეობასაო.

— მაირიდამ მოსული ტელეგრა-  
მა, ამტკიცებს, რომ აჯანყებუ-  
ლებს ნამდვილად დაუცლიათ ხარ-  
თუმის გარემგომო და მისი არე-მარე-  
მხლა იქ ჯარებისთვის სანოვავის მი-  
ტანა ღიდს სიძნელეს აღარ წარმოად-  
გენსო.

**ბალზია.** სექტემბრის 10-ს ამოს-  
კოვის უწყებათა მოსვლიათ ბრიუსე-  
ლიდან შემდეგი ტელეგრაფმა: „მო-  
ნიტერში“ გამოქვეყნებულია მეფისა-  
გან დამტკიცებული და შინაურ საქ-  
მეთა და იუსტიციის მინისტრებისგან  
შემოწმებული სასკოლე კანონი. მუ-  
ჩებში გაკრულ აჭიშებში ბურგომისტ-  
რი აცხადებს: „თვითელი კეთილი  
მოქალაქის მოვალეობა დაემორჩილოს  
სასკოლე კანონს. მუჩებში მანიჭესტა-  
ციის მოხდენა საშიშია საზოგადოებ-  
რივი მშვიდობიანობისათვის; ამისათვის  
აღკრძალულნი არიან იგინი. მომავ-  
ლი სათემო აღმორჩევიანი საშუალებას  
გაძლევთ სასკოლე კანონთან საბრ-  
ძოლველად. მოქალაქეთ მყუდროება  
და წესი არ უნდა დაარღვიონ. მო-  
ველი ღიდი ყრილობა, რომელსაც  
შეუძლიან შფოთი აღძრას, განფან-  
ტულ-იქმნება“.

ჯგულები

(„ხდილეთის სააგენტოსი“)

სექტემბრის 20-ს  
**პატიპაშაში.** დიდი მთავარი  
აღექსი აღექსანდრეს-დე გუშინ  
წავიდა სევასტოპოლსა და ნიკო-  
ლაევიში ჯავშნიან ხომალდების  
აშენების დაწყებაზედ დასასწრებად.  
„უწუნად-დე-სან-ჰეტერბურ“ ამტკუ-  
ნებს უცხო ქვეყნელი გაზეთების  
ხმას ვითომც რუსეთის ელჩი  
კონსტანტინეპოლში დამუქრებო-  
დეს პორტას მოსპობას კავშირი-  
სას კონტრიბუციის წლიური გარ-  
დასახადის შემოუტანელობის გა-  
მო და ვითომც ეს მექარა იყოს  
შედეგი სკერნევიცაში მიღებული  
გადაწყვეტილებისა ოსმალეთას შე-  
სახებ. ხსენებელი გაზეთი ამ ხმას  
ჭანტასტიკურს უძახის, მაგრამ  
თან აცხადებს, რომ ჩვენს მთავ-  
რობას არ მოსწონს ხშირად და  
უეცრად რომ შეაჩერებენ ხომალე  
კონტრიბუციის გადახდასაო.  
„სვეტი“ ამბობს: საებრაელი  
კომისიაში შეტანილი იქმნა განც-  
ხადება შესახებ იმისა, რომ რაბი-  
ნებს ჩამოერთვათ მეტრიკის წიგ-  
ნების გაკეთება და ეს საქმე პო-  
ლიციას ჩაბარდეს.  
**გლაგოვუჩინსკი.** ამერის ნა-  
პირზედ ჩინეთის მხარეს, იგნა-  
შინის პირდაპირ, სამზღვრიდამ

20 ვერსზე, იპტვეტს... მხ-  
დანი, საიდამაც მანჯურებსა და  
რუსებს ოქრო უხვად გამოაქვთ.

**პარიში.** ჩინეთის პროვინცია —  
იუნაში ქრისტიანებსა სდევნიან.  
კათოლიკე მისიონერების უფრო-  
სი მოჰკლეს.

ცნობანი

სამკურნალოში, რომელიც თბი-  
ლისის მოქალაქეთ დააწესეს სასსოფრად  
4 აპრილის 1866 წლისა, ავადმყოფნი  
მიიღებან დღის 8 საათადამ 12 სა-  
თამდინ.

ყოველ დღე მიიღებენ ამ სამკურნა-  
ლოში ავადმყოფებს შემდეგი კვამები:  
**ტერ-გრიგორიანცი**—8 საათადამ 9  
ასათამდინ. სახუბო, საქალბო და სა-  
ბაჟგო ავადმყოფობის საწამლეულად;  
**ადამიანცი**—9-დამ 10-სათამდე შინაგან  
და ნერვულ ავადმყოფობათა საწამლეულად;  
**ბენგლევსკი**—10—11 საათამდე.—სა-  
ხიურგო, სასაფილისო ავადმყოფობის  
წამლობისთვის და აგრეთვე კბილისა  
და ყურის ტკივილის საწამლეულად; **მტემ-  
ბორსკი** 11—12 საათამდე სიფილი-  
სისა და სხეულზე გამოყრელი მუწუ-  
კების წამლობისთვის. ამას გარდა:  
**გარბლევიჩი** ორშაბათობით 9—10  
სათამდე შინაგან ავადმყოფობას წამ-  
ლობისთვის; **კორონა** ორშაბათო-  
ბით, სამშაბათობით, სუთშაბათობით  
და შაბათობით შინაგან ავადმყოფო-  
ბათა წამლობისთვის 10—11 საათამ-  
დე; **მინევიჩი** სამშაბათობით და ზა-  
რასკეკობით 9—10 საათამდე ხიურგ-  
კიული ავადმყოფობისათვის; **ხამჩინ-  
სკი** სამშაბათობით და შაბათობით  
11—12 საათამდე თვალის ტკივილის  
საწამლეულად; **კრასნოკლიადოვი** ორ-  
შაბათობით და ზარასკეკობით 10—11  
სათამდე შინაგან ავადმყოფობათა წამ-  
ლობისთვის; **ვოლტსონი** კბილის ტკი-  
ვილის საწამლეულად მიიღებს თავის  
სახლში ყოველთვის დარბ ავადმყო-  
ფებს, რომელთაც სამკურნალოდამ ბა-  
რათი კქმნებათ.

მახანდა

ხორავისა, რომელიც იყიდება თბი-  
ლისის ბაზრებში, ღუქნებში და ხელ-  
დახელ 1 სექტემბრიდამ 1 ოქტომბ-  
რამდე 1884 წ.  
გამომცხვარა პური რუ-  
სეთის ფეკილისა— —1 გაი. 5 კ.  
აქაურის ფეკილისა: პირ-  
ველის საჩისხისა— —1 გ. 2 1/2  
მეორისა— — —1 გ. 2 კ.  
იმავე ფეკილ. თორნიეში გამომცხვარა:  
პირველი საჩისხის —1 გ. 4 1/2  
მეორისა— — —1 გ. 3 კ.  
მესამისა— — —1 გ. 2 1/2  
კვარის-მამი პური:  
პირველი საჩის. ლავაში 1 გ. 4 1/2  
მეორის საჩის. ლავაში 1 გ. 3 1/2  
მესამისა — — —1 გ. 3 კ.  
ძმოსის ხორცი:  
პირველის საჩისხისა—1 გ. 7 კ.  
მეორისა— — —1 გ. 6 კ.

